განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ქუთაისის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 2021 წლის 17 ნოემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი
2021 წლის 10 დეკემბერი

თბილისი 2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს ქუთაისის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	ქუთაისის უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	უნივერსიტეტი
უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა (უმაღლესი განათლების III საფეხური)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ეკონომიკის დოქტორი PhD in Economics
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0311 ეკონომიკა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	60
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №137, 03.07.2012 31.12.2021 („განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა გეგეშიძე/შპს - საქართველოს უნივერსიტეტი/ საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაია ბარამიძე/ შპს - კავკასიის უნივერსიტეტი/ საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ჯოჯუა/ შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ტალიკაძე/სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

✓ **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“ საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ძველი კერძო უნივერისტეტია იმერეთის რეგიონში, რომელიც 1991 წელს დაფუძნდა, როგორც 1991 წელს „ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის ინსტიტუტი“, ხოლო 2010 წელს გადაერქვა სახელი. თავიდანვე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ეკონომიკის მიმართულებას, აღსანიშნავია ამ დროისთვის საქართველოში ბიზნეს მეცნიერებებსაც და ეკონომიკის მეცნიერებებს ერთიანად „ეკონომიკას“ უწოდებდნენ.

შპს ქუთაისის უნივერსიტეტში ,,ეკონომიკის'' სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 3 ივლისის №137 გადაწყვეტილებით. აკრედიტაციის შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. წარმოდგენილი ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური მეცნიერ-მკვლევარის მომზადება აკადემიური და ბიზნეს კარიერისათვის.

პროგრამის აკრედიტაციისთვის ზედმიწევნით და სრულყოფილად არის წარმოდგენილი აკრედიტაციის სტანდარტებით გათვალიწინებული მოთხოვნები.

პროგრამა ბოლო აკრედიტაციის შემდგომ, მნიშვნელოვნად შეიცვალა პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, განვითარდა/დაიხვეწა პროგრამის სასწავლო გეგმაც, აღნიშნული ცვლილებების საფუძველს წარმოადგენს, ერთი მხრივ, გარე მარეგულირებელი სტანდარტები (აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სტანდარტები) და მეორე მხრივ,

საუნივერსიტეტო მარეგულირებელი მექანიზმები, რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის პროცედურებს. პროგრამის დახვეწისა და განვითარების ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (№71 24.09.2018) დაწესებულების მიერ სადოქტორო პროგრამის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებას.

საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემის (ECTS) საფუძველზე. პროგრამის სასწავლო კომპონენტის მოცულობა შეადგენს 60 კრედიტს (1 კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს). პროგრამისთვის განკუთვნილი 60 კრედიტიდან 54 კრედიტი ეთმობა ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებს, ხოლო 6 კრედიტი - ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კურსებს. პროგრამა ასევე ითვალისწინებს კვლევით კომპონენტს: სადისერტაციო ნაშრომის მომზადებას და დაცვას.

- ✓ **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**
  - ✓ 2021 წლის 16 ნოემბერს განხორციელდა აკრედიტაციის ჯგუფის წინასწარი შეხვედრა, სადაც ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს პირველადი მიგნებების შესახებ. დღის განრიგის მიხედვით შეიმუშავეს კითხვები და მოინიშნეს დასაზუსტებელი საკითხები, რომელიც წარმოდგენელი დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთებოდა.
  - ✓ აკრედიტაციის ვიზიტი გამართა 2021 წლის 17 ნოემბერს. ონლაინ რეჟიმში „ZOOM.us“ პროგრამული უზრუნველყოფით, მიმდინარე COVID-19 დაკავშირებული შეზღუდვების გამო. პროგრამული მხარდაჭერა და პროცესის ინფორმაციული მართვა განხორციელდა „განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ.
  - ✓ აკრედიტაციის ვიზიტი შედგა 2021 წლის 17 ნოემბერს. 9:40-დან 19:00 საათამდე. სააკრედიტაციო ონლაინ ვიზიტი მიმდინარეობდა კონსტრუქციულად, წინასწარ დაგეგმილი დღის წესრიგის მიხედვით. ვიზიტის პერიოდში იყო პროფესიული ურთიერთანამშრომლობით და საქმიანი გარემო.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

წარმოდგენილი პროგრამა სრულად აკმაყოფილებს სტანდარტებს.

მათ შორის:

- პირველი სტანდარტი სრულად შეესაბამება მოთხოვნებს.
- მეორე სტანდარტი სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- მესამე სტანდარტის რულად შეესაბამება მოთხოვნებს;
- მეოთხე სტანდარტი სრულად შეესაბამება მოთხოვნებთან;
- მეხუთე სტანდარტი სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

წინამდებარე პროგრამაზე ექსპერტთა ჯგუფს არ აქვს რეკომენდაცია.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

✓ სასურველია ფრაზაში „ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური მეცნიერ-მკვლევარის მომზადება აკადემიური და ბიზნეს კარიერისათვის, რომელიც შეძლებს:“ ჩაემატოს პროფესორ-მასწავლებელი, ან მსგავსი შინაარსის ფრაზა.

✓ პროგრამის შინაარსის და კომპლექსურობის გასაძლიერებლად სასურველია სასწავლო კომპონენტს დაემატოს ეკონომიკური პოლიტიკის კურსი.

✓ მიზანშეწონილია რეგულარულად ხდებოდეს სასწავლო კურსების გადახედვა/ ოპტიმიზაცია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან მათი შესაბამისობის გაძლიერების მიზნით;

✓ სასურველია სისტემატურად ხორციელდებოდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის განახლება/შევსება.

✓ სასურველია დაწესებულებამ/ფაკულტეტმა პროგრამის ფარგლებში აამოქმედოს დამატებითი სტიმულირების მექანიზმები რათა ხელი შეუწყოს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას საერთაშორისო პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო კონფერენციებში. ასევე, მათი სტატიების გამოქვეყნებას ისეთ მაღალ რეიტინგულ ჟურნალებში, რომლებიც ინდექსირებული არიან Scopus-ში და სხვ.

✓ კარგი იქნება, უნივერსიტეტმა გააგრძელოს პროფესორ-მასწავლებელთა მიერ პროფესიული განვითარების კურსებისა თუ ტრენინგების გავლის მიმართულებით

მხარდაჭერა, ასევე, უზრუნველყოს მიღებული მონაცემების აქტიურ პრაქტიკაში ინტეგრირება.

- ✓ ინფორმაციის სრულყოფილად მიღების და დამუშავების მიზნით სასურველია სტუდენტის და აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევა ჩატარდეს კონკრეტულად საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- ✓ უსდ-ს აქვს სწავლის შედეგების შეფასების ზედმიწევნით დამუშავებული სისტემა.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

- ✓ პროგრამა მორგებულია თანამედროვე მოთხვნებსა და აკრედიტაციის სტანდარტებს.

- **უსდ-ს მიერ დასკვნის პროექტის გაზიარება**

- ✓ შპს „ქუთაისის უნივერისტეტი“ გაცენო დასკვნის პროექტს და დაადასტურა, რომ მასში ფაქტობრივი უზუსტობები არ არის.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შპს ქუთაისის უნივერსიტეტის, „ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოდგენილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 10/04/2019-ის 69ნ ბრძანების შესაბამისად, სწავლის სფეროების კლასიფიკატორია 0311 ეკონომიკა. პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია, ესენია: ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური მეცნიერ-მკვლევარის მომზადება აკადემიური და ბიზნეს კარიერისათვის, რომელიც შეძლებს: 1. გამოიყენოს თანამედროვე ეკონომიკური თეორიების ცოდნა სხვადასხვა ეკონომიკური პრობლემების გაგებისა და გადაჭრისათვის, მოახდინოს ეკონომიკური პოლიტიკის შეფასებები, შეიმუშაოს რეკომენდაციები და მიიღოს გადაწყვეტილებები; 2. თანამედროვე სარწმუნო ეკონომიკურ მონაცემებზე დაყრდნობით ჩაატაროს ორიგინალური კვლევა ანალიტიკური, მათემატიკური და ეკონომეტრიკული უნარების გამოყენებით რომელიც გულისხმობს თანამედროვე ეკონომიკური მონაცემების მდიდარი ნაკრების გამოყენებას; 3. მოამზადოს და გამოაქვეყნოს ორიგინალური ეკონომიკური კვლევა, რაც მოიცავს სადისერტაციო ნაშრომს, ასევე, სამეცნიერო ნაშრომის მომზადებას აღიარებულ ბაზებში განთავსებული რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალებისათვის და ეკონომიკური კვლევების კონფერენციებზე წარდგენას; 4. ეკონომიკის შესახებ ცოდნის გადაცემას და გავრცელებას აკადემიური და არააკდემიური კარიერის ფარგლებში. პროგრამა კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული, ის ასახავს ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე სპეციალისტების მომზადებას, ამასთანავე იკვეთება, თუ რა წვლილი შეაქვს მას დარგის და საზოგადოების განვითარებაში.

პროგრამის დეტალურად გაცნობის შემდეგ, შესაძლებელია ითქვას, რომ ეს არის კომლექსური მიდგომის სადოქტორო პროგრამა ეკონომიკაში და ამზადებს მკვლევარ-მეცნიერს და ამასთანავე პროფესორ-მასწავლებელს ამიტომ შესაძლებელია ფრაზაში „ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური მეცნიერ-მკვლევარის მომზადება აკადემიური და ბიზნეს კარიერისათვის, რომელიც შეძლებს:“ ჩაემატოს პროფესორ-მასწავლებელი, ან მსგავსი შინაარსის ფრაზა. პროგრამის მიზნები შეესაბამება ქუთაისის უნივერსიტეტის მისიას, რომელიცაა: „უმაღლესი საგანმანათლებლო ცენტრის შექმნა, რომელიც ემსახურება ● საერთაშორისო და ეროვნული, უპირატესად რეგიონული შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციისა და ცოდნის მქონე კადრების მომზადებას, რომლებიც შეძლებენ ეთიკური და სოციალური პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოებისა და შესაბამისი სფეროს განვითარებაში, ასევე ეკონომიკურ აღმშენებლობაში საკუთარი წვლილის შეტანას; ● ადგილობრივ დონეზე აკადემიური საზოგადოების გაძლიერებას, ახალი ცოდნის გენერირების და გაზიარების ხელშეწყობას, როგორც ინსტიტუციის რესურსების, ასევე, რეგიონის თავისებურებების გათვალისწინებით. პროგრამის მიზნები თანხვედრაშია უნივერისტეტის სტრატეგიულ გეგმასთან. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნის ფორმულირების დროს გათვალისწინებულია დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს, რომლის კვლევაც განხორციელდა პროგრამის ხელახალი აკრედიტაციის მომზადების პროცესში. ამასთანავე პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული იყო დამსაქმებელები და მათი შეფასებების და რეკომენდაციების გათვალისწინებით მოხდა რიგი ცვლილებების შეტანა პროგრამაში. ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესში გათვალიწინებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციები, ასევე, მეცნიერების/დარგის, სახელმწიფოს ან/და საზოგადოების განვითარების მოთხოვნები. პროგრამას იცნობს მის განხორცილებაში ჩართული პერსონალი და გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე, საჯაროა და ხელმისაწვდომი ქუთაისის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: https://www.unik.edu.ge. აღნიშნულიდან გამომდინარე სტანდარტი სრულად შეესაბამება მოთხოვნებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის დანართები;

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ქუთაისის უნივერსიტეტის მისია;
- დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები, შედეგების ანალიზი და შედეგების გამოყენების ანგარიში;
- ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის სხდომის ოქმები;
- ქუთაისის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://www.unik.edu.ge;
- ინტერვიუს შედეგები, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია ფრაზაში „ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური მეცნიერ-მკვლევარის მომზადება აკადემიური და ბიზნეს კარიერისათვის, რომელიც შეძლებს:“ ჩაემატოს პროფესორ-მასწავლებელი, ან მსგავსი შინაარსის ფრაზა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შპს ქუთაისის უნივერსიტეტის, „ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები შესაბამისია პროგრამის მიზნებთან. ის მომზადებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანების N69/ნ 10.04.2019 „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“, შესაბამისად. პროგრამის შედეგებში ცალ-ცალკე გამოყოფილია ა) ცოდნა და გაცნობიერება, ბ) უნარი და გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. წარმოდგენილი შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და უზრუნველყოფს კვალიფიკაციათა აღმწერის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად პროგრამა ახდენს სწავლის სფეროს შესაბამისი ცოდნის და უნარების გამომუშავებას, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის განვითარებას. პროგრამის შედეგებში ნათლად ჩანს კვალიფიკაციების ჩარჩოს დარგობრივი მოთხოვნები. ამავე დროს შესაბამისობას ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. პროგრამით დასახული მიზნების ჩამოყალიბების და შედეგების ფორმირების პროცესში მონაწილეობდა სფეროს სპეციალისტებით დაკომპლექტებული პროგრამის კომიტეტი. ამასთანავე პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ფორმირების პროცესში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე (პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, დამსაქმებლები, პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები), ასევე უზრუნველყოფილი იყო გარე შემფასებლების ჩართულობა, პროგრამის სწავლის შედეგებთან დაკავშირებით მათი მოსაზრებების, შეფასებებისა და რეკომენდაციების მიღების მიზნით. ადგილზე ვიზიტისას, ინტერვიუების დროს დაინტერესებული მხარეებისგან ჩართულობა დადასტურდა. ასევე სახეზეა მიღებული რეკომენდაციების პროგრამაში ასახვა. რომლებიც შემდეგი სახისაა:

1. დოქტორანტების მხრიდან დაფიქსირებული მოსაზრებების საპასუხოდ განხორციელდა სასწავლო კურსების ,,სწავლების თანამედროვე მეთოდები'' და ,,ეკონომეტრიკა'' მნიშვნელოვნად განახლება და დაიხვეწა განახლებული პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისად, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამას არჩევით სასწავლო კურსად რეკომენდაციის შესაბამისად დაემატა ,,ევროპის რეგიონალური და სოციალური პოლიტიკა''. 2. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მხრიდან გაზიარებული რეკომენდაციების საპასუხოდ მოდიფიცირდა პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირება, შეიცვალა სასწავლო კურსის „კვლევის მეთოდები ეკონომიკაში“ კრედიტების მოცულობა. 3. ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულების მხრიდან გამოთქმული რეკომენდაცია კვლევის ხერხებისა და მეთოდების დამატების შესახებ გათვალისწინებულია სავალდებულო სასწავლო კურსის „კვლევის მეთოდები ეკონომიკაში“ ფარგლებში. 4. დამსაქმებლების გამოკითხვისა და რეკომენდაციების საპასუხოდ პროგრამაში დაკორექტირდა პროგრამის მეორე სწავლის შედეგის ფორმულირება. ასევე, სასწავლო კურსს "საჯარო ფინანსები და ფისკალური პოლიტიკა", რომელიც წინაპირობის გარეშე იყო, მიღებული რეკომენდაციის გათვალისწინებით განესაზღვრო წინაპირობად სასწავლო კურსი "მიკროეკონომიკური ანალიზი". აღნიშნული დასტურდება თანდართული გამოკითხვის შედეგების ანალიზითა და შედეგების გამოყენების ანგარიშით.

პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის განსაზღვრული, მიღწევადი და გაზომვადია, რომელიც დასტურდება წარმოდგენილი სწავლების შედეგების რუკით ამასთანავე შეესაბამება სწავლების მიზნებს.

სწავლების შედეგების რუკა ცხადად წარმოადგენს, თუ რომელი სასწავლო კურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის კონკრეტული შედეგის მიღწევას. მასში ასევე წარმოდგენილია I-P-M (აღწერა-გაღრმავება-სრულყოფა) შკალაზე რა ხარისხით არის შესაძლებელი კონკრეტული შედეგის მიღწევა. რუკაში თითოეული სწავლის შედეგისთვის გაწერილია კონკრეტული ინდიკატორები, რომლითაც მოხდება სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება. შეფასების ინდიკატორები ფასდება შეფასების 5 დონის გამოყენებით. შეფასების დონეებია: სრულად არ აკმაყოფილებს, არ აკმაყოფილებს, აკმაყოფილებს, მეტწილად აკმაყოფილებს, სრულად აკმაყოფილებს. თითოეული ინდიკატორის და შეფასების თითოეული დონისთვის წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები. რუკის დახმარებით შესაძლებელია იმის დადგენაც, რომელ სასწავლო კურსში ფასდება ესა თუ ის ინდიკატორი.

ამასთანავე აქვე მითითებულია შეფასების ფორმა და მეთოდი, რომლითაც მოხდება კონკრეტული ინდიკატორის შეფასება.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკა ასევე ადგენს სამიზნე ნიშნულებს, რა შემთხვევაშიც სწავლის შედეგები ჩაითვლება მიღწეულად და რა შემთხვევა ჩაითვლება საყურადღებოდ. ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას თან ახლავს დანართით №4, სადაც წარმოდგენილია დადგენილი სამიზნე ნიშნული და საყურადღებო შედეგის ფორმულირება. ამასთანავე წარმოდგენილი შედეგების შეფასების დაგეგმილია 2022-2023 აკადემიური წლიდან, რადგან განახლებული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებისთვის აუცილებელია გასული იყოს განახლებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გარკვეული პერიოდი.

უსდ-ში სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება ხორციელდება „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად (დოკუმენტი დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის №ძ15 ბრძანებით).

უსდ დიდ ყურადღებას უთმობს სწავლის შედეგების შეფასებას და ამისთვის იყენებს როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ მეთოდებს. მოწოდებულ დოკუმენტაციაში სწავლის შედეგების მიღწევის და შეფასების საილუსტრაციოდ წარმოდგენილია:

- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის,
- კურიკულუმის,
- სწავლის მეთოდების/აქტივობების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის და
- სწავლის შედეგების შეფასების რუკები (ინდიკატორების, შეფასების დონეების და ინდიკატორების შეფასების რუბრიკების გამოყენებით).

აღსანიშნავია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია და ამ მიზნით გამოყენებული რუკები, რომლებიც ზედმიწევნით და დეტალურად არის დამუშავებული.
პროგრამაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ დაინტერესებული პირებისთვის სწავლის შედეგების გაცნობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამის შედეგები შესაბამისობაშია სტანდარტებთან მოთხოვნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის დანართები;
- ✓ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ✓ დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები, შედეგების ანალიზი და შედეგების გამოყენების ანგარიში;

✓ ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის სხდომის ოქმები; ✓ ქუთაისის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://www.unik.edu.ge; ✓ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზის დოკუმენტი; ✓ ინტერვიუს შედეგები, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ქუთაისის უნივერსიტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ეკონომიკასა ან ბიზნესის ადმინისტრირებაში. სხვა კანდიდატებისთვის სავალდებულოა მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება (თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება იმ კანდიდატებს, რომელთაც ექნებათ სამეცნიერო პუბლიკაციები ეკონომიკის ან ბიზნესის თემატიკაზე და სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებსა და ფორუმებში მონაწილეობა, რის დამადასტურებელი დოკუმენტებიც სხვა საბუთებთან ერთად უნდა იქნას წარმოდგენილი (მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; 2 ფოტოსურათი; და ავტობიოგრაფია (CV)). ასევე, პროგრამაზე დაშვების აუცილებელი პირობაა ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობა, რისთვისაც კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელ დიპლომი ან ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატი, სხვა შემთხვევაში მათ უნდა ჩააბარონ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული გამოცდა. ინგლისური ენის გამოცდა ტარდება „ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ შესაბამისად. ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარების მინიმალური ბარიერი 80 ქულაა. კანდიდატები, რომლებიც ვერ გადალახავენ აღნიშნულ ბარიერს, კარგავენ კონკურსში მონაწილეობის გაგრძელების უფლებას. სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებმა სარეგისტრაციო დოკუმენტებთან ერთად უნდა წარმოადგინონ პოტენციური სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელმოწერილი სადოქტორო კვლევის განაცხადი, რომელიც შესაფასებლად ეგზავნება დროებით დარგობრივ კომისიას. კვლევითი განაცხადი ფასდება 5 ქულიანი სისტემით. სადოქტორო

პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი დროებითი დარგობრივი კომისიის წინაშე აკეთებს კვლევითი განაცხადის პრეზენტაციას. პრეზენტაცია ფასდება 5 ქულიანი სისტემით (შეფასების პრინციპები და მინიმალური ზღვრები განსაზღვრულია პროგრამით). ზეპირი გამოცდის შეფასება ხდება დროებითი დარგობრივი კომისიის მიერ, წინასწარ განსაზღვრული მოთხოვნების, კრიტერიუმების და რუბრიკების შესაბამისად. ზეპირი გამოცდის მოთხოვნების, კრიტერიუმების და რუბრიკების შესახებ ინფორმაციის განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ყოველი მიღების გამოცხადებისთანავე ხდება. პროგრამაზე ჩარიცხვისათვის ერთიანი შეფასება შედგება კვლევის განაცხადისა და პრეზენტაციის შეფასებათა ქულების ჯამისაგან. პროგრამაზე ასევე დაიშვებიან: ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტები. დოქტორანტების კანდიდატის ჩარიცხვა ფორმდება უნივერსიტეტსა და კანდიდატს შორის გაფორმებული საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე. ამ აღწერილობიდან გამომდინარე ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შესაბამისობაშია საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან. ამასთანავე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს რა პროგრამის სპეციფიკასა და შინაარსს, უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი ცოდნისა და უნარების მქონე კანდიდატების დაშვებას ეკონომიკის სადოქტორო პროგრამაზე. პროგრამაზე ჩარიცხვის პირობების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ქუთაისის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საჯაროდ ხელმისაწვდომია: https://www.unik.edu.ge
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა; ✓ ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ✓ შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციების დადგენის წესი - https://unik.edu.ge/PagePDF/59fd7cbf4a1e873e89242bf663eeaa28.pdf ✓ შპს ქუთაისის უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება; ✓ ქუთაისის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://www.unik.edu.ge/ ✓ ინტერვიუს შედეგები, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, თვითშეფასების ჯგუფთან.
რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ქუთაისის უნივერსიტეტის ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურების თანახმად. აღნიშნული დებულება დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის №ძ14 ბრძანებით. პროგრამა შექმნილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. თვითშეფასების ჯგუფთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მის შემუშავებაში

მონაწილეობდა აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.

ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა შესაბამისობაშია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან და დეტალურად არის მოცემული 2.1. ქვესტანდარტში.

ამჟამად სადოქტორო პროგრამაზე აქტიური სტატუსის მქონე 10 სტუდენტი ირიცხება. აღსანიშნავია, რომ 2020-2021 სასწავლო წელს პროგრამაზე მიღება არ გამოცხადებულა, ვინაიდან ხორციელდებოდა ორგანიზაციული ცვლილებები, მიმდინარეობდა პროგრამის გადამუშავება, მასში ცვლილებების შეტანა და მზადება ახალი აკრედიტაციის პროცესისათვის.

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის სტრუქტურა, რომელიც წარმოდგენილია ძირითადი სწავლების სფეროს სავალდებულო საგნების 54 და არჩევითი კურსების 6 კრედიტით, გამართული და ლოგიკურია. როგორც ამ საგნების სილაბუსების შესწავლამ ცხადყო, სასწავლო კურსების შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის სწავლების დონესთან შესაბამისობას. კომპონენტების ლოგიკური თანმიმდევრობა, მომდევნო კომპონენტზე დაშვების ადექვატური წინაპირობები, სასწავლო კურსების და კრედიტების სემესტრული განაწილება, დოქტორანტის სემესტრული დატვირთვა მოცემულია პროგრამის სასწავლო გეგმაში. აღნიშნულს ასევე ადასტურებს დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვა (მათ შორის დოქტორანტების და კურსდამთავრებულების), რომელიც პროგრამამ გამოკითხვის შედეგების ანალიზის სახით წარმოადგინა. ამ ანგარიშში „რესპოდენტების შეფასებით, პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსები შერჩეული და დალაგებულია თანმიმდევრულად და ლოგიკურად, სასწავლო კურსებისათვის განსაზღვრული საათები (საკონტაქტო, დამოუკიდებელი) ოპტიმალურადაა განაწილებული და ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას“.

სადოქტორო პროგრამის 2 სემესტრიანი სასწავლო კომპონენტის დასრულების შემდეგ, დარჩენილი 4 სემესტრი ეთმობა კვლევით კომპონენტს - სადოქტორო ნამუშევრის მომზადებას და დაცვას.

არსებული მდგომარეობით პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა ნამდვილად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა სასურველია რეგულარულად ხდებოდეს სასწავლო კურსების გადამუშავება/ განახლება მათი შინაარსის პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან კავშირის გაძლიერების მიზნით

(მაგალითად, პროგრამას დაემატოს ისეთი სასწავლო კურსი როგორიცაა ეკონომიკური პოლიტიკა - დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით).

ზემოთაღნიშნულის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქუთაისის უნივერსიტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა თანხვედრაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და შეესაბამება მოცემული ქვესტანდარტის მოთხოვნებს.

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია ქუთაისის უნივერსიტეტის ვებ-გვერდის საშუალებით: https://unik.edu.ge.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა;
- ✓ სავალდებულო და არჩევითი კურსების სილაბუსები;
- ✓ ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ✓ შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურები - დანართი #3;
- ✓ პროგრამის სასწავლო გეგმა - პროგრამის დანართი #5;
- ✓ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://unik.edu.ge
- ✓ ინტერვიუს შედეგები, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან, ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და თვითშეფასების ჯგუფთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ✓ პროგრამის შინაარსის და კომპლექსურობის გასაძლიერებლად სასურველია სასწავლო კომპონენტს დაემატოს ეკონომიკური პოლიტიკის კურსი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ქუთაისის უნივერსიტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული საგნების სილაბუსების გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ სწავლების ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. სასწავლო კურსების შინაარსი უზრუნველყოფს ამ კურსების სწავლის შედეგების მიღწევას და შეესაბამება უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის სწავლების დონეს. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში მოცემულია: ინფორმაცია კრედიტების მოცულობის, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების, კურსების მიზნის და შედეგების შესახებ, ასევე კურსის განმავლობაში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდების აღწერა.

თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. პროგრამის სასწავლო თემატიკა, მისი წინაპირობების გათვალისწინებით, დაძლევადია და მიიღწევა როგორც საგნისთვის დათმობილი სათანადო მოცულობის სამუშაო საათებით, ისე სილაბუსით განსაზღვრული სწავლება-სწავლის მეთოდებით.

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკის პროგრამებში (საბაკალავრო და სადოქტორო) სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია ზედმიწევნით არის დამუშავებული. პირდაპირი მეთოდით სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად პროგრამა იყენებს და წარმოადგენს:

- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის,
- კურიკულუმის,
- სწავლის მეთოდების/აქტივობების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის და
- სწავლის შედეგების შეფასების რუკებს (ინდიკატორების, შეფასების დონეების და ინდიკატორების შეფასების რუბრიკების გამოყენებით).

სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიაში სამიზნე ნიშნულები ამ შეფასებათა ნორმალური (გაუსის) განაწილების მიხედვით არის დადგენილი. მათზე დაკვირვება ყოველწლიურად ხდება და რეაგირება ფაქტიური შედეგების ანალიზის საფუძველზე (სამიზნე ნიშნულებთან შედარება) დაკვირვებათა სამწლიანი ციკლის დასრულების შემდეგ იგეგმება.

არაპირდაპირი მეთოდით სწავლის შედეგების შესაფასებლად უსდ-ს ჩატარებული აქვს დამსაქმებელთა კვლევა, რაც სააკრედიტაციო დოკუმენტაციაში წარმოდგენილია მათი გამოკითხვის შედეგებით და შესაბამისი ანალიზით. აღნიშნული ასევე დასტურდება დამსაქმებლებთან ინტერვიუების საფუძველზე.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა სასურველია რეგულარულად ხდებოდეს სასწავლო კურსების გადამუშავება/ განახლება მათი შინაარსის პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან კავშირის გაძლიერების მიზნით (მაგალითად ეკონომიკური პოლიტიკის დამატება კურიკულუმში).

საგნების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა ძირითადად შეესაბამება სასწავლო კურსის თემატიკას, თუმცა ზოგ შემთხვევაში მოძველებულია და განახლებას საჭიროებს (მაგალითად: სამეცნიერო წერის მეთოდები, საჯარო ფინანსები და ფისკალური პოლიტიკა, კვლევის მეთოდები ეკონომიკაში, თამაშთა თეორია და სხვა). ამავდროულად აღსანიშნავია, რომ მოძველებულ სავალდებულო ლიტერატურასთან ერთად, დამხმარე მასალებში ხშირად მითითებულია უკანასკნელი პერიოდის სტატიები და ინტერნეტ-რესურსები, რომლებიც სტუდენტებს დარგის აქტუალურ მიღწევებზე/ უახლეს კვლევებზე აწვდიან ინფორმაციას, რაც სადოქტორო პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას უზრუნველყოფს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა;
- სავალდებულო და არჩევითი კურსების სილაბუსები;
- ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია;
- სწავლის შედეგების შეფასება - პროგრამის დანართები #1-5;

- „დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგების ანალიზი, პროგრამის განვითარების პროცესში მათი გათვალისწინება-გამოყენების ანგარიში“ ;
- ინტერვიუს შედეგები, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან, ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და თვითშეფასების ჯგუფთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ✓ მიზანშეწონილია რეგულარულად ხდებოდეს სასწავლო კურსების გადახედვა/ ოპტიმიზაცია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან მათი შესაბამისობის გაძლიერების მიზნით;
- ✓ სასურველია სისტემატურად ხორციელდებოდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის განახლება/შევსება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ✓ სწავლის შედეგების შეფასების ზედმიწევნით დამუშავებული სისტემა.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი დანიშნულება მის სტუდენტებში სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული უნარების განვითარებაა. აღნიშნული უნარების განვითარებას უზრუნველყოფენ ისეთი სასწავლო კურსები, როგორებიცაა მაგალითად: კვლევის მეთოდები ეკონომიკაში, ეკონომეტრიკა და სემინარი. ეს უნარები მაქსიმალურად ვითარდება სადოქტორო ნაშრომზე მუშაობის პროცესში სადისერტაციო კვლევების ინსტრუმენტით, ამ კვლევების საფუძველზე დოქტორანტი აქვეყნებს 2 სამეცნიერო სტატიას და წარადგენს მინიმუმ ერთ მოხსენებას სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის სახით (დოქტორანტურის დებულების მოთხოვნების შესაბამისად). პროგრამის სხვა სავალდებულო კომპონენტები: „სწავლების თანამედროვე მეთოდები“ და „პროფესორის ასისტირება“ ავითარებენ სწავლების, შეფასებისა და კვლევითი თემების ხელმძღვანელობის პრაქტიკულ უნარებს. ასისტირების მიზანია დოქტორანტი მოამზადოს დამოუკიდებელი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის. ზემოთაღნიშნული თითოეული კომპონენტის წვლილი სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული უნარების განვითარებაში თვალსაჩინოდ და ადექვატურად არის წარმოდგენილი კურიკულუმის რუკაში. დოქტორანტთა სამეცნიერო/კვლევით პროექტებში ჩართვას და აქტივობას ადასტურებს ვიზიტის მიმდინარეობისას დამატებით წარმოდგენილი „დოქტორანტთა სამეცნიერო აქტივობის ჩამონათვალი“. წარმოდგენილი დოკუმენტაციის და მონაწილე მხარეებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ პროგრამა უზრუნველყოფს დოქტორანტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა; • სავალდებულო და არჩევითი კურსების სილაბუსები; • ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;

- შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურები ;
- შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ დოქტორანტურის დებულება;
- სწავლის შედეგების რუკა ;
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან, კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები, თვითშეფასების ანგარიშის და პროგრამის აღწერილობის თანახმად, სტანდარტულია და უზრუნველყოფენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას და შესაბამისი კომპეტენციების განვითარებას.

პროგრამის სასწავლო კომპონენტი, რომელიც 60 კრედიტს მოიცავს, ხორციელდება შესაბამის სილაბუსებში აღწერილი სწავლება-სწავლის შემდეგი მეთოდების და აქტივობების გამოყენებით:

- ლექციის შეთავაზება ხდება ახსნა-განმარტების, დემონსტრირების, დისკუსიის აქტივობებით - ინტერაქტიულ ფორმატში;
- ჯგუფში მუშაობა და პრაქტიკული მეცადინეობა მოიცავს ისეთი აქტივობების გამოყენებას, როგორებიცაა: გონებრივი იერიში (Brain storming), დისკუსია/ დებატები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, შემთხვევის ანალიზი (Case study), ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი, წიგნზე (წყაროზე) და წერითი მუშაობა, ელექტრონული რესურსით სწავლება (E-learning), პროექტის/რეფერატის/დავალების პრეზენტაცია, როლური თამაში (სიმულაცია), საკლასო ექსპერიმენტი.

თითოეული სასწავლო კურსისთვის სწავლება-სწავლის მეთოდები შერჩეულია შესასწავლი მასალის შინაარსისა და მისაღწევი სწავლის შედეგების გათვალისწინებით, სასწავლო კურსის განხორციელების პროცესში გამოიყენება ის სასწავლო აქტივობები, რომლებიც უფრო ეფექტიანია კონკრეტული სწავლის შედეგების მისაღწევად და შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების სადოქტორო საფეხურს.

სწავლება-სწავლის გამოყენებული მეთოდების და აქტივობების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის დადგენის და სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მიზნით ეკონომიკის სადოქტორო პროგრამამ წარმოადგინა სწავლება-სწავლის მეთოდების და აქტივობების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროების შემთხვევაში, მის სახეებს, შემუშავების საფუძვლებსა და პროცედურებს განსაზღვრავს ქუთაისის უნივერსიტეტში მოქმედი, 2020 წლის 17 სექტემბრის №ძ18 ბრძანებით დამტკიცებული „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია“.

დოქტორანტებისა და პროგრამის პერსონალს შორის მასალების საკომუნიკაციოდ გამოიყენება ქუთაისის უნივერსიტეტის Moodle-ის ელექტრონულ პლატფორმა: http://unikmoodle.ge/
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა; ✓ სავალდებულო და არჩევითი კურსების სილაბუსები; ✓ ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ✓ სწავლება-სწავლის მეთოდების და აქტივობების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა ; ✓ შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია; ✓ ქუთაისის უნივერსიტეტის მიერ გამოყენებულ Moodle-ის ელექტრონულ პლატფორმა: http://unikmoodle.ge/. ✓ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს ქუთაისის უნივერსიტეტი სტუდენტის შეფასებისას ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით, ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონით და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება № 3 2007.05.01) განსაზღვრული შეფასების სისტემით. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა. შეფასებების ფორმები მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. შუალედური შეფასებები ფასდება 60 ქულით, ხოლო დასკვნითი გამოცდა - 40 ქულით. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შუალედური შეფასებისათვის შეადგენს 42 % -ს, ხოლო დასკვნითი გამოცდისათვის 50 %+1-ს. სასწავლო კომპონენტი დაძლეულია საერთო ჯამში 51 ქულის მიღების შემთხვევაში. ყველა სილაბუსში ასახულია დასკვნით გამოცდაზე დაშვების და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, ასევე, შეფასები ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები. ასევე, ეს უკანასკნელი განსაზღვრულია უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასების მოქმედი წესით. ამ კუთხით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სასწავლო კურსებში ყველაზე ხშირად გამოყენებული შუალედური შეფასების კომპონენტებია (გარდა შუალედური გამოცდისა): საშინაო პრაქტიკული დავალებები, დისკუსია-დებატები, ქვიზები, რეფერატის მომზადება და მისი პრეზენტაცია. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების დროს ისინი დადებითად აფასებენ მოქმედ შეფასების სისტემასა და მის შემადგენელ კრიტერიუმებს. ზოგადად, სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებული შეფასების სისტემა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს.

უნივერსიტეტში დანერგილია სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა, ე.წ. სტუდენტთა საინფორმაციო სისტემა (იხ. ლინკი: http://e.unik.ge/) სასწავლო კურსებზე რეგისტრაციისას სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ თავიდანვე გაეცნონ სილაბუსებს და კურსის დაწყებისთანავე იცოდნენ შეფასების ძირითადი კომპონენტები. კურსის მიმდინარეობის მანძილზე თითოეულ სტუდენტს საშუალება აქვს თავისი მიმდინარე შეფასებებს ელექტრონული მართვის სისტემიდან ადევნოს თვალი და დროული რეაგირება

ჰქონდეს მიღწეულ შედეგებზე. სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის მეშვეობით არსებობს ლექტორსა და სტუდენტს შორის იოლი კომუნიკაციის შესაძლებლობა. ამდენად, შეფასების ფორმები და კომპონენტები არის გამჭვირვალე და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის. აღსანიშნავია, რომ ონლაინ სწავლებისთვის აქტიურად გამოიყენება moodle-ის სისტემა (იხ. ბმული: http://unikmoodle.ge/moodle/), სადაც უზრუნველყოფილია ელექტრონული სასწავლო მასალების განთავსება.

შპს ქუთაისის უნივერსიტეტში დისერტაციის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქცია და სხვ. მოცემულია დოქტორანტურის დებულებაში. შეფასება ხდება კომისიის მიერ ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით, საბოლოო შეფასება დასტურდება შესაბამისი ოქმის გაფორმებით. შეფასებისთვის გამოყენებული კრიტერიუმები მოცემულია სადოქტორო პროგრამის აღწერილობასა და დოქტორანტურის დებულებაში. სადისერტაციო ნაშრომს კომისია აფასებს 100 ქულით შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად:

1. ნაშრომის სტრუქტურული გამართულობა - 10 ქულა;
2. ნაშრომის აქტუალურობა და მნიშვნელობა - 10 ქულა;
3. საკვლევი საკითხის დასმა და წარმოჩენა - 10 ქულა;
4. დასახული მიზნებისა და კვლევის შედეგების ურთიერთშესაბამისობა - 10 ქულა;
5. კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდები - 10 ქულა;
6. შედეგების /მიგნებების ანალიზი, დასკვნები და რეკომენდაციები - 10 ქულა;
7. ნაშრომის ტექნიკური მხარე - 5 ქულა;
8. გამოყენებული წყაროები/ლიტერატურა - 10 ქულა;
9. ნაშრომის საჯარო დაცვა - 15 ქულა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების (გარდა ნაშრომის საჯარო დაცვისა) მიხედვით აფასებს დისერტაციას დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელიც, თითოეულს შემდეგი გრადაციით: კარგი, საშუალო და ცუდი. საბოლოოდ დადებითი დასკვნის შემთხვევაში სადისერტაციო ნაშრომი შეიძლება გადაეცეს რეცენზენტს შესაფასებლად, უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში სადისერტაციო ნაშრომი უბრუნდება დოქტორანტს გადასამუშავებლად. დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრებიდან ირკვევა რომ ყველა შესრულებული სადისერტაციო ნაშრომი გადის შემოწმებას პლაგიატის ამომცნობ პროგრამაში (StrikePlagirism). ნაშრომში პლაგიატის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, ნაშრომი ერთჯერადად გადასამუშავებლად უბრუნდება დოქტორანტს. სადისერტაციო ნაშრომის გადამუშავების შემდეგ პლაგიატის ნიშნების განმეორებით აღმოჩენის შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე ნაშრომზე მუშაობის გაგრძელების უფლებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;

- ✓ შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ✓ შპს ქუთაისის უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება;
- ✓ მასალების საკომუნიკაციოდ გამოყენებული Moodle-ის ელექტრონული პლატფორმა: http://unikmoodle.ge/;
- ✓ ქუთაისის უნივერსიტეტის ელექტრონული პლატფორმა, სტუდენტთა საინფორმაციო სისტემა: http://e.unik.ge/;
- ✓ ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- ○

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შპს ქუთაისის უნივერსიტეტში სტუდენტების ინფორმირებულობას სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების საკითხებზე ძირითადად უზრუნველყოფს ფაკულტეტის ადმინისტრაცია სხვადასხვა ხერხის გამოყენებით. მაგ., აუცილებელი ინფორმაცია (სასწავლო ბარათი, მიმდინარე შეფასებები, და სხვა) სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში, ე.წ. სტუდენტთა საინფორმაციო სისტემაში (იხ, ბმული: http://e.unik.ge/). საგანმანთლებლო დაწესებულებაში სტუდენტების მოთხოვნილებაზე მორგებული სერვისების ერთ-ერთი მიმწოდებელი სტრუქტურა არის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი. ცენტრის მთავარი მიზანია, სტუდენტს შეუქმნას ხელსაყრელი გარემო, რათა იგი იყოს თვითრეალიზებული და წარმატებული. ცენტრი მუშაობს ორი ძირითადი მიმართულებით, ერთი მოქმედი სტუდენტების კარიერული კომპეტენციების განვითარება, ამისთვის კი ვორქშოფების, მასტერკლასებისა და საჯარო ლექციების მოწყობა, და მეორე, კურსდამთავრებულების წინსვლა, რომელიც მიიღწევა კურსდამთავრებულებთან ერთად საინტერესო აქტივობების მოწყობით, ინოვაციური იდეების განხორციელებით. მაგალითად, ცენტრმა 2021 წლის გაზაფხულის სემესტრში სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა საჭიროებების დადგენის მიზნით ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლენილი ინტერესის შესაბამისად ჩაატარა ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის ნიკოლოზ ჩიხლაძის საჯარო ლექცია თემაზე "COVID -19 და ქალაქების ეკონომიკური განვითარების კონტექსტი“. ცენტრის მიერ მუდმივად იგზავნება ინფორმაცია სტუდენტებთან გამოცხადებული ვაკანსიებისა და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ. ამ მიზნით 2020-2021 აკადემიურ წელს ცენტრის მიერ ჯამში 70-მდე საინფორმაციო ტექსტია გაგზავნილი. სტუდენტს სასურველი სერვისის ან/და ინფორმაციის მისაღებად შეუძლია მიმართოს სტუდენტთა ზემოთ აღნიშნულ ცენტრს. თუმცა, როგორც სტუდენტებთან, ისე

კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებით დგინდება, რომ მათ უშუალოდ არ უსარგებლიათ მოცემული ცენტრის სერვისებით, თუმცა იღებენ მათგან ინფორმაციას. როგორც დოქტორანტები, ისე კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას გამოირკვა რომ ისინი დასაქმებულები არიან მაღალი რიგის მენეჯერულ თანამდებობებზე კვალიფიკაციის შესაბამისად.

ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში ფიქსირდება ლექტორის საკონტაქტო ინფორმაცია: საკონტაქტო ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი. აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა ექსპერტებთან საუბრისას დაადასტურეს, რომ მათი დატვირთვა ითვალისწინებს სტუდენტთა კონსულტაციების საათებსაც, კერძოდ, კვირაში ორი საათის ხანგრძლივობით. საკონსულტაციო შეხვედრების განრიგი დგება ყოველი სემესტრის დასაწყისში. შეხვედრების განრიგი განთავსებულია სტუდენტსა და სასწავლო კურსის განმახორციელებელ პერსონალს შორის მასალების საკომუნიკაციოდ ქუთაისის უნივერსიტეტის მიერ გამოყენებულ Moodle-ის ელექტრონულ პლატფორმაზე. აღსანიშნავია, სტუდენტები ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით ადასტურებენ, რომ ისინი ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისგან იღებენ მათთვის აუცილებელ კონსულტაციებს და საჭირო ინფორმაციას. ამასთან, მათ შორის კომუნიკაცია მეტ-წილად ხორციელდება ელექტრონული ფოსტის ან სოციალური ქსელის დახმარებით. ამასთან, მიმდინარე პერიოდში პანდემიასთან დაკავშირებული ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე, სტუდენტებს შეუძლიათ ლექტორთან შეთანხმებით ნებისმიერ დროს მიიღონ შესაბამისი ონლაინ კონსულტაცია.

შპს ქუთაისის უნივერსიტეტში სისტემატურად ტარდება სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, დარგობრივი სემინარები, რომლებშიც სტუდენტებს აქვთ საშუალება მიიღონ მონაწილეობა. ინფორმაციას ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების, გაცვლითი პროგრამების და სხვათა შესახებ სტუდენტები იღებენ უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან და ფაკულტეტისგან. უშუალოდ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობას ახორციელებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი. ზოგადად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართულობის მაჩვენებელი მისაღებია (სულ 25, სადოქტორო პროგრამის სტუდენტთა სამეცნიერო აქტივობა). თუმცა, მათგან მხოლოდ ერთი სტატიაა გამოქვეყნებული ისეთ მაღალრეიტინგულ ჟურნალში, რომელიც ინდექსირებულია Scopus-ში. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს მათ დაადასტურეს კონფერენციებში მონაწილეობის მიღება და სტატიების გამოქვეყნება, ეს გასაგებიცაა, რადგან

დოქტორანტურის დებულებით დოქტორანტს მოეთხოვება სადისერტაციო ნაშრომის თემასთან დაკავშირებული კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველი და დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნებული მინიმუმ 2 ნაშრომი, ამასთან, დოქტორანტს საკვლევი თემის ფარგლებში გამოქვეყნებული (ან მიღებული დასაბეჭდად) უნდა ჰქონდეს სტატია იმპაქტ-ფაქტორის peer reviewed ჟურნალში, ან/და რეფერირებად/რეცენზირებად ელექტრონულ ან ბეჭდით ჟურნალში, ან/და საზღვარგარეთ გამოცემულ შესაბამის დარგობრივ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში, ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში. მსგავსი მაღალი აქტივობა სტუდენტების მხრიდან არ ფიქსირდება გაცვლითი პროგრამების მიმართ. კონკრეტულად სადოქტორო საფეხურზე, ფიზიკური მობილობა არ განხორციელებულა, თუმცა დაიგეგმა მობილობის ვირტუალური ფორმა ლატვიის რიგა სტრადინს უნივერსიტეტთან და შეირჩნენ დოქტორანტები, ერთ-ერთი ეკონომიკის მიმართულების პროგრამიდან. სტუდენტთა ინტერვიუირების დროს, მათ აღნიშნეს, რომ ეს მათი პირადი არჩევანია. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სხვადასხვა სახის გამოკითხვის შედეგები სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მონაწილეობით. ინტერვიუს შედეგების საფუძველზე ამ უკანასკნელთა მხრიდან დადასტურებულია აღნიშნული. ხშირ შემთხვევაში გათვალისწინებულია მათი შეხედულებები და რეკომენდაციები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ თვითშეფასების დოკუმენტი; ✓ საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; ✓ შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ დოქტორანტურის დებულება; ✓ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი, იხ. ბმული: https://www.unik.edu.ge/Science/107; ✓ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი, იხ. ბმული: https://www.unik.edu.ge/StudentSupport; ✓ საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ანგარიში, 2020-2021 აკადემიური წელი; ✓ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია დაწესებულებამ/ფაკულტეტმა პროგრამის ფარგლებში აამოქმედოს დამატებითი სტიმულირების მექანიზმები რათა ხელი შეუწყოს სტუდენტების

აქტიურ ჩართულობას საერთაშორისო პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო კონფერენციებში. ასევე, მათი სტატიების გამოქვეყნებას ისეთ მაღალ რეიტინგულ ჟურნალებში, რომლებიც ინდექსირებუნი არიან Scopus-ში და სხვ.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შპს ქუთაისის უნივერსიტეტში დოქტორანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ქუთაისის უნივერსიტეტის ან სხვა უსდ-ს აკადემიური ან მოწვეული პერსონალი, რომელიც ფლობს დოქტორის აკადემიურ ხარისხს, აქვს დოქტორანტის საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში ან/და გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის ზოგად თემატიკას/მიმართულებას. საჭიროების შემთხვევაში, დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელი, მათ შორის უცხო ქვეყნის აკადემიური დაწესებულებიდან საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ფარგლებში. მაგალითისთვის, ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის ერთ დოქტორანტს უკვე ჰყავს დისერტაციის უცხოელი თანახელმძღვანელი, რუმინეთის ალექსანდრ იოან კუზას უნივერსიტეტის ასოცირებული

პროფესორი. ერთი პირი შეიძლება ხელმძღვანელობდეს აქტიური სტატუსის მქონე მაქსიმუმ სამ დოქტორანტს.

სამეცნიერო ხელმძღვანელის ფუნქციაა დოქტორანტის პროგრესის პერიოდული შეფასება, სამეცნიერო რჩევების მიცემა კვლევის დიზაინზე, რეგულარული კონსულტაციების გაწევა დოქტორანტებისთვის, მაგალითად, კონსულტაციები სამეცნიერო სტატიების რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნების შესახებ, ასევე, ხელმძღვანელის მოვალეობაა დოქტორანტს დაეხმაროს სადისერტაციო ნაშრომის წერის, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების პროცესში და სხვ.

ხელმძღვანელი ნაშრომის დასრულების შემდეგ ამზადებს ორი სახის დასკვნას. ერთ-ერთია დასკვნა ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების შესახებ. სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელმა, ნაშრომის შესრულების შესახებ დასკვნის დაწერამდე, უნდა გაითვალისწინოს წარმოდგენილი ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების დასკვნა და შემდეგ განსაზღვროს შესრულებული სადისერტაციო ნაშრომის დაცვისთვის მზაობის საკითხი. საბოლოოდ, დასკვნის საფუძველზე სადისერტაციო ნაშრომი სარეცენზიოდ გადაეცემა ან არ გადაეცემა რეცენზენტს. დოქტორანტებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ საჭიროების შემთხვევაში ისინი ნებისმიერ დროს იღებენ კონსულტაციას ხელმძღვანელის მხრიდან. წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების თანაფარდობა არის 8/10-თან, ანუ 0,8.

შპს ქუთაისის უნივერსიტეტში სადისერტაციო ნაშრომის დაგეგმვის, მომზადებისა და დაცვის პროცედურები, სამეცნიერო ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები გაწერილია დოქტორანტურის დებულებაში (დამტკიცებულია უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს 2021 წლის 2 ივლისის №4 დადგენილებით).

სადისერტაციო თემისა და ხელმძღვანელის შერჩევა ხდება თავად სტუდენტების მიერ. ხოლო გადაწყვეტილებას სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის დამტკიცების/შეცვლის და საკვლევი თემების დამტკიცების, შეცვლის/კორექტირების შესახებ იღებს სადისერტაციო საბჭო. სწავლის პირველ წელს დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად სადისერტაციო საბჭოს წინაშე განსახილველად წარადგენს სადისერტაციო ნაშრომის დეტალურ გეგმას. სამწუხაროდ, დებულებაში არ ჩანს შუამავალი რგოლი, რომელიც დააკავშირებდა ზემოთ აღნიშნულ ორივე მხარეს.

სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელები არიან კვალიფიციური სპეციალისტები, რაც დასტურდება პერსონალის CV-ებით, მათ მიერ გამოქვეყნებული ნაშრომებით და კონფერენციებში მონაწილეობით. ამასთან, დოქტორანტების ხელმძღვანელებთან გასაუბრების დროს ისინი აღნიშნავდნენ, რომ დოქტორანტებს კონსულტირებას უწევენ

კვლევით პროცესში სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, კურსდამთავრებულებიც თავის მხრივ გასაუბრების დროს ადასტურებენ, რომ ნაშრომის წერის პროცესი ორივე მხარის კონსტრუქციული თანამშრომლობით მიმდინარეობდა, ხელმძღვანელები გარკვეული ინტენსივობით ხვდებოდნენ დოქტორანტებს და აბრუნებდნენ უკუკავშირს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ სადისერტაციო ნაშრომების გადახედვის დროს არ გამოვლენილა უხეში დარღვევები. უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ დაწესებულებას აქვს პლაგიატის ამომცნობი სისტემა (StrikePlagirism), რომელიც გამოიყენება ნაშრომების შემოწმებისას. ვიზიტის დროს არ მოგვეცა შესაძლებლობა ახლოდან გავცნობოდით მის მუშაობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ თვითშეფასების დოკუმენტი; ✓ საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; ✓ შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ დოქტორანტურის დებულება; ✓ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; ✓ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია დაკონკრეტდეს დოქტორანტების მიმართ წაყენებული წინაპირობა საკვლევი თემის ფარგლებში გამოქვეყნებული (ან მიღებული დასაბეჭდად) სტატიის მიმართ. იქნება ეს მხოლოდ იმპაქტ-ფაქტორის peer reviewed ჟურნალში, ან/და რეფერირებად/რეცენზირებად ელექტრონულ ან ბეჭდით ჟურნალში, ან/და საზღვარგარეთ გამოცემულ შესაბამის დარგობრივ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში, ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში, თუ მოითხოვება მათი ისეთ ბაზებში ინდექსირება როგორებიცაა Scopus, Web of Science და ა.შ.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულნი არიან კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად. შპს ქუთაისის უნივერსიტეტში მოქმედებს „პერსონალის შერჩევის წესი," რომელიც მოიცავს ზოგად რეგულაციებს აკადემიური/სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის დადასტურების თაობაზე (იხ. ბმული; https://unik.edu.ge/PagePDF/4ac4d073040f796b2f25d6766ef4a2e1.pdf). ამასთან, უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ამდენად, უნივერსიტეტში თითოეულ თანამდებობას განსაზღვრული აქვს სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რის მიხედვითაც ხდება მათი დაქირავება. პერსონალის შერჩევის წესი განსაზღვრავს დაქირავების პროცედურებს, სამუშაო აღწერილობები კი საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. მაგალითად, მოწვეული ლექტორის შერჩევა შეიძლება განხორციელდეს ორი გზით: პირველი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი დეკანთან ერთად უზრუნველყოფს შესაბამისი კანდიდატურის მოძიებას, მეორე, კონკურსის გამოცხადება. ორივე შემთხვევაში პირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: უნდა ჰქონდეს შესაბამისი განათლება/კვალიფიკაცია ან კომპეტენცია, მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და ფლობდეს სასწავლო კურსის გაძღოლისთვის შესაბამის ცოდნას და უნარებს. ამასთან, კანდიდატი, რომელსაც აქვს 2 ან მეტწლიანი პედაგოგიური გამოცდილება გადის გასაუბრებას პროგრამის ხელმძღვანელთან, დეკანთან, ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურის თანამშრომელთან. ხოლო კანდიდატი, რომელსაც არ აქვს, ან აქვს 2 წელზე ნაკლები პედაგოგიური გამოცდილება ატარებს საჩვენებელ ლექციას კომისიის წინაშე.

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში ჩართულნი არიან ეკონომიკის, ბიზნესის ადმინისტრირების, ფიზიკა-მათემატიკის, განათლებისა და ფილოლოგიის დოქტორის ან/და მაგისტრის ხარისხის მქონე პირები. მათი პირადი საქმეებიდან ჩანს, რომ ისინი არიან თავიანთი საქმის სპეციალისტები, რომელთა კვალიფიკაცია და ცოდნა უზრუნველყოფს პროგრამით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევას. ეს დასტურდება მათ მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული და გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით, ტრენინგებით და სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობებით საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე.

სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა სულ შეადგენს 14-ს. აქედან 8-ს უკავია აკადემიური თანამდებობა, კერძოდ, 8-დან აკადემიური თანამდებობები შემდეგნაირად არის გადანაწილებული:

- 5 პროფესორი;
- 1 ასოცირებული პროფესორი;
- 2 ასისტენტ-პროფესორი.

უნივერსიტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში სულ აფილირებულია 4 პროფესორი. აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული დოქტორანტების რაოდენობასთან დაკავშირებით ასე გამოიყურება: 4/10-ზე; ხოლო ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების თანაფარდობა ასეთია: 8/10-ზე.

რაც შეეხება მოწვეული პერსონალის რაოდენობას, პროგრამაში ჩართულია სულ 6 მოწვეული სპეციალისტი. შესაბამისად, თუ შევუდარებთ აკადემიურ/სამეცნიერო პერსონალთა რაოდენობას მოწვეული სპეციალის-ტების რაოდენობას, დგინდება, რომ აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან არის 8/6-ზე, ანუ 1,(3). ამდენად, საბოლოო ჯამში, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი დაცულია. აქვე აღსანიშნავია, რომ მოცემული საკითხი რეგულირდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით „აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომელშიც ვკითხულობთ, რომ საგანმანთლებლო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებში ჩასატარებელი საათების მინიმუმ 60%-ს სავალდებულოა კითხულობდეს აკადემიური პერსონალი. აღნიშნული მოთხოვნა დაკმაყოფილებულია ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრად განხორციელებას. ამავე, მეთოდოლოგიაში გაწერილია აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის გადანაწილება, რომელიც ითვალისწინებს სასწავლო და/ან სამეცნიერო-კვლევით და სხვა დატვირთვას მათზე დაკისრებული ფუნქციებიდან გამომდინარე.

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამას ხელმძღვანელობს აკადემიური თანამდებობის მქონე პირი (პროფესორი), რომელსაც აქვს პროგრამის შემუშავებისთვის აუცილებელი როგორც ცოდნა, ისე გამოცდილება. პროგრამას ასევე ჰყავს უცხოელი თანახელმძღვანელი, რიგა სტრადინს უნივერსიტეტის პროფესორი (მოცემული პროგრამისთვის როგორც მოწვეული პირი).

პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობაა საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით და პროგრამის აქტუალობის მიზნით, უხელმძღვანელოს პროგრამის

შემუშავების, განვითარებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცესს, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან კოორდინაციის ფარგლებში უზრუნველყოს პროგრამის მუდმივ გაუმჯობესებაზე ზრუნვა, შესაბამის პროგრამაზე პრაქტიკის უზრუნველყოფის მიზნით, მოიძიოს პრაქტიკის ობიექტები და ხელი შეუწყოს მათთან მემორანდუმების/ხელშეკრულებების გაფორმებას, შესაბამის თანამდებობის პირებთან მჭიდრო თანამშრომლობით, უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისი სახელმძღვანელოების შესყიდვის შესახებ, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელისთვის ინფორმაციის მიწოდება, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან მჭიდრო თანამშრომლობით, იზრუნოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის პოპულარიზაციაზე. ყოველივე ეს მოცემულია ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო აღწერილობებში. ამასთან, როგორც პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრების პროცესში გამოირკვა, პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად მონაწილეობს პროგრამის შიდა და გარე შეფასების პროცესებში. ამ მიზნით პროგრამის ხელმძღვანელი თანამშრომლობს პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან, მათგან უკუკავშირის (გამოკითხვების შედეგად) მიღების გზით, ხოლო შემდგომ ხელმძღვანელი ცდილობს გაითვალისწინოს მათი რეკომენდაციები.

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის განხორციელებას ხელს უწყობს უნივერ-სიტეტის ადმინისტრაცია და მართვის სხვა სამსახურები: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური, საზოგადოებასთან ურთიერთობებისა და მარკეტინგის სამსახური, ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური. ასევე, შემდეგი ცენტრები: სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ ცენტრი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშემწყობის ცენტრი, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი, საგამოცდო ცენტრი და სხვ.

როგორც დოკუმენტაციიდან და ინტერვიუებიდან (ადმინისტრაცია და თვითშეფასების ჯგუფი) ირკვევა, პროგრამით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევაში მონაწილეობს დამხმარე პერსონალი, რომელსაც აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია, თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით სულ 12 პირი. მათი ფუნქციები გათვალისწინებულია თანამდებობრივი აღმწერებით და პირდაპირ ასახავს პროგრამის განხორციელების ხელშეწყობას. როგორც ბიბლიოთეკაში, ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურსა და სტუდენტურ სერვისებში, ისე დეკანატში მომუშავე სპეციალისტები და დამხმარე პერსონალი მიმართული არიან სწავლის შედეგების უზრუნველყოფა-გაუმჯობესებისკენ.

წარმოდგენილი მასალიდან გამომდინარე, აკადემიური პერსონალის დენადობის მაჩვენებელი 0-ია. მიღებულია პირიქით დამატებით 3 ახალი აკადემიური პერსონალი. მოწვეული პერსონალის შემთხვევაში დენადობის მაჩვენებელია -3, აქედან 1 გავიდა პენსიაზე, ხოლო 2-მა დატოვა დაწესებულება. მათ ნაცვლად მიღებულია 4 ახალი მოწვეული პერსონალი. ამდენად, აშკარაა ამ მიმართულებით სტაბილური სამუშაო გარემო. შესაბამისად, წარმოდგენილი გარემოებები, ასევე, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი ადასტურებს, რომ პროგრამა მდგრადია. აქედან გამომდინარე, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს პროგრამით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევას. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტისას მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დასტურდება სტანდარტის მოცემული კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; ✓ თვითშეფასების ანგარიში; ✓ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი ინფორმაცია (CV); ✓ აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, იხ. ბმული: https://unik.edu.ge/PagePDF/075197d46b61b508c1ba0ccf1561a7bd.pdf; ✓ პერსონალის შერჩევის წესი, იხ. ბმული: https://unik.edu.ge/PagePDF/4ac4d073040f796b2f25d6766ef4a2e1.pdf; ✓ ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები; ✓ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები; ✓ პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შპს ქუთაისის უნივერსიტეტში პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, სხვა სტრუქტურული ერთეულების მხარდაჭერით და ხორციელდება რამდენიმე მიმართულებით. ეს ყოველივე რეგულირდება შპს ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორის მიერ დამტკიცებული ბრძანებით, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესის შესახებ და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პროცედურების შესაბამისად. აკადემიური პერსონალის შეფასება მოიცავს: ა) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წლიურ შეფასებას შესაბამისი ანგარიშის გამოყენებით; ბ) პროფესიული განვითარების წლიურ შეფასებას შეფასების შესაბამისი ანგარიშის გამოყენებით; გ) აკადემიური საქმიანობის სემესტრულ შეფასებას სხვადასხვა მხარის მიერ შესაბამისი კითხვარების გამოყენებით. ხოლო მოწვეული პერსონალისთვის შეფასება მოიცავს ზემოთ აღნიშნულ

მხოლოდ ბ) და გ) პუნქტებს, ანუ პროფესიული განვითარების წლიურ და აკადემიური საქმიანობის სემესტრულ შეფასებას სხვადასხვა მხარის მიერ შესაბამისი კითხვარების გამოყენებით. უკანასკნელი პუნქტი გულისხმობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას ა) დეკანის მიერ; ბ) პროგრამის ხელმძღვანელის მიერ; გ) სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ; დ) საგამოცდო ცენტრის მიერ და ე) სტუდენტის მიერ.

სამეცნიერო-სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის თვითშეფასების ანგარიში აკადემიური პერსონალის მიერ სასწავლო წლის ბოლოს წარედგინება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრს. არსებობს, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიზნით განხორციელებულ აქტივობებთან დაკავშირებით აკადემიური პერსონალის მიმართ დადგენილი მოთხოვნებიც, შესაბამისი მუხლობრივი განაწილებით. აკადემიური პერსონალი ვალდებულია განახორციელოს შესაბამისი სამეცნიერო აქტივობები და ყოველწლიურად დააგროვოს მისთვის განსაზღვრულ მინიმალურ ქულათა რაოდენობა. ხოლო რაც შეეხება პროფესიული განვითარების საქმიანობის თვითშეფასების ანგარიშს, ეს უკანასკნელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სასწავლო წლის ბოლოს წარედგინება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებულ აქტივობებთან დაკავშირებით აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიმართ დადგენილი მოთხოვნაა მინიმუმ 30 ქულის დაგროვება. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წლიური შეფასების, პროფესიული განვითარების წლიური შეფასების და აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური საქმიანობის სემესტრული შეფასებების საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხდება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ დაგროვებული ქულების რანჟირება ფაკულტეტების მიხედვით. აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებით დადგენილი მინიმალური მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში, აფილირებულ აკადემიურ პერსონალს ეძლევა შესაბამისი ანაზღაურება. ამის მსგავსად, აკადემიური პერსონალიც მათი სამეცნიერო კვლევითი და აკადემიური საქმიანობის წლიური შეფასების შედეგების რანჟირების საფუძველზე და მოწვეული პერსონალიც მათი აკადემიური საქმიანობის წლიური შეფასების შედეგების რანჟირების საფუძველზე წახალისების მიზნით იღებს ფულად ჯილდოს (იგულისხმება თითოეულ ფაკულტეტზე სამი საუკეთესო შედეგის მქონე პერსონალი).

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან, მაგალითად, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრთან, გამოვლენილი საყურადღებო შედეგების გამომწვევი მიზეზების კვლევისა და მათი

გამოსწორებისთვის საჭირო ნაბიჯების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. აღნიშნული საკითხის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით, ფაკულტეტის დეკანს ევალება კვლევის შედეგებზე რეაგირების ანგარიშის ფორმის შევსება, სადაც უნდა დაფიქსირდეს გამოვლენილ საყურადღებო შედეგებზე რეაგირების მიზნით უკვე განხორციელებული აქტივობები, ასევე, სამომავლო რეაგირების გეგმა. რეაგირების მიზნით დაგეგმილი აქტივობების შესრულებაზე მონიტორინგს ახორციელებს ვიცე რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით. საჭიროების შემთხვევაში ფაკულტეტი ან/და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრთან პროფესიული განვითარების მიზნით შესაბამისი ტრენინგების ორგანიზებისა და ჩატარების მიზნით. მაგალითისთვის, აკრედიტაციისთვის მზადების პროცესში განხორციელდა შემდეგი ტრენინგები და ვორქშოფები: „კვლევითი საგრანტო პროექტების წერა“, „კვლევა უნივერსიტეტში“, „მონაცემთა ანალიზი SPSS-ში (დამწყები და მაღალი დონეები)“.

აღსანიშნავია, რომ თვითშეფასების ანგარიშით გათვალისწინებულ დანართებში ჩვენ ვხვდებით სხვადასხვა სახის რეაგირების დოკუმენტს. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება ქუთაისის უნივერსიტეტში პირველად განხორციელდა 2020-2021 აკადემიური წლის ბოლოს და განხორციელდება ყოველწლიურად. აღსანიშნავია, რომ ამა წლის 19 ნოემბერს გაიმართა უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის დაჯილდოება (იხ. ბმული: https://www.unik.edu.ge/News/1204)

აქვე საყურადღებოა, რომ უნივერსიტეტში ყოველსემესტრულად ტარდება სტუდენტური გამოკითხვები და ხდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ წარმართული სასწავლო კურსების შეფასება. შემდეგ ანალიზდება სტუდენტებისგან მიღებული უკუკავშირი გამოკითხვების სახით. შედეგებს აწვდიან პროგრამის ხელმძღვანელს, დეპარტამენტებს და უშუალოდ პერსონალს.

უნივერსიტეტში მოქმედებს კოლეგიალური ურთიერთდასწრების მექანიზმიც, რომელიც იძლევა ძლიერი და სუსტი მხარეების თაობაზე შეფასებების გაკეთების შესაძლებლობას. ურთიერთდასწრებისა და მუშაობის პოლიტიკა მიმართულია აკადემიური პერსონალის ხელშეწყობა სწავლება/სწავლის პროცესის შესახებ იდეებისა და გამოცდილების გაზიარებისკენ. კოლეგიალური ურთიერთდასწრება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულყოფას, არსებული პროგრამების განახლება-გაუმჯობესებასა და სასწავლო გარემოს მუდმივ განვითარებას.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები, რომელიც უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის N№21 ბრძანებით არის დამტკიცებული. ამ წესიდან გამომდინარეობს, რომ აფილირება უნივერსიტეტსა და აკადემიური თანამდებობის მქონე პირს შორის წერილობით შეთანხმებას, რომლითაც თითოეული აკადემიური თანამდებობის მქონე პირი განსაზღვრავს თავის აფილირებას მხოლოდ ქუთაისის უნივერსიტეტთან, მისი სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში. ამ წესის მიზანია, შექმნას შიდასაუნივერსიტეტო კონკურენტული აკადემიური გარემო, გაზარდოს აკადემიური პერსონალის მოტივაცია და აქტივობა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ქუთაისის უნივერსიტეტში 2006 წლიდან ბეჭდური სახით (ISSN – 1512-3901), ხოლო 2017 წლიდან ელექტრონული სახით (EISSN – 2587-5310) გამოიცემა სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკური პროფილი“ (http://economicprofile.org/).

ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი მთლიანობაში მონაწილეობს პროფესიულ ტრენინგებში, სემინარებსა და სამეცნიერო ღონისძიებებში. მათი კვლევები ასახულია როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში. აქვე უმნიშვნელოვანესია პროფესორ-მასწავლებელთა ჩართულობა პროფესიული განვითარების ღონისძიებებში. აღნიშნული დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიუს შედეგებით. მაგალითად, 2020 წლის 20 ოქტომბერს ქუთაისის უნივერსიტეტში გამოცხადებულ შიდა სამეცნიერო-კვლევითი კონკურსში უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისთვის (https://www.unik.edu.ge/News/1072) ფარგლებში ერთ-ერთი დაფინანსებული კვლევითი პროექტისთვის მომზადდა და გამოიცა ექვსი სამეცნიერო სტატია Scopus, Web of Science, Scimago, EBSCO და სხვა საერთაშორისო ბაზებში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალებში. ასევე, აღსანიშნავია, რომ ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს შესაძლებელია მიმართვის საფუძველზე დაუფინანსდეს კვლევითი პროექტები (დაფინანსების საკითხი რეგულირდება ქუთაისის უნივერსიტეტში მოქმედი „კვლევის დაფინანსების წესის“ შესაბამისად, დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის №№22 ბრძანებით).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტისას მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დასტურდება სტანდარტის მოცემული კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი;
- ✓ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმე;
- ✓ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ✓ თვითშეფასების ანგარიში და თვითშეფასების ანგარიშით გათვალისწინებული დანართები;
- ✓ უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://www.unik.edu.ge/;
- ✓ აფილირების წესი;
- ✓ პერსონალის ტრენინგებში, სემინარებსა და კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ✓ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- კარგი იქნება, უნივერსიტეტმა გააგრძელოს პროფესორ-მასწავლებელთა მიერ პროფესიული განვითარების კურსებისა თუ ტრენინგების გავლის მიმართულებით მხარდაჭერა, ასევე, უზრუნველყოს მიღებული მონაცემების აქტიურ პრაქტიკაში ინტეგრირება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- მისასალმებელია უნივერსიტეტის აფილირებული პერსონალისთვის წახალისების მექანიზმების (ერთჯერადი ფულადი ჯილდო) არსებობა.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო კურსები ხორციელდება ქუთაისის უნივერსიტეტის კორპუსში (ქ. ქუთაისი, აკ. წერეთლის ქუჩა №13). ამ კორპუსში პროგრამის კურსებისთვის გამოყოფილია თანამედროვედ აღჭურვილი (კომპიუტერი, პროექტორი და კონდიციონერი ა.შ.) აუდიტორიები, აუდიტორიები, საკონფერენციო და საბიბლიოთეკო სივრცეები. უსდ-ში მოწყობილია კომპიუტერული საგამოცდო აუდიტორიები და სამუშაო სივრცეები პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის. უსდ-ში შექმნილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის შესაბამისი ადაპტირებული გარემო, ყოველივე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას. ქუთაისის უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფონდშია, ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო სახელმძღვანელოების ბეჭდური ან/და ელექტრონული ვერსიებით. ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს ელექტრონული კატალოგი, Openbiblio, რომელიც ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, https://unik.edu.ge/Library/72 . აქედან გამომდინარე პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, EIFL (ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის) მიერ შემოთავაზებული შემდეგი საერთაშორისო ელექტრონული სამეცნიერო ბაზები: Cambridge Core (https://www.cambridge.org/core) Elgaronline (https://www.elgaronline.com/) - Edward Elgar Publishing-ის სამეცნიერო ჟურნალები და სახელმძღვანელოები. Mathematical Sciences Publishers (https://msp.org/) და სტუდენტები ასევე აქვთ სხვა ცნობილ სამეცნიერო ბაზებზე წვდომა და პუბლიკაციების უფასოდ ან შეღავათიან ფასად გამოქვეყნების შესაძლებლობა. ყოველივე საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

ინფორმაცია საერთაშორისო ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებს შესახებ განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე ბიბლიოთეკის ნაწილში: https://unik.edu.ge/Library/73 . საბიბლიოთეკო რესურსებისა და ელექტრონული, სამეცნიერო ბაზების გამოყენების მეთოდებთან დაკავშირებით უნივერსიტეტის სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს მუდმივად მიეწოდებათ ინფორმაცია, შეხვედრებისა და ელექტრონული ფოსტის საშუალებით, რაც დადასტურდა ადგილზე ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის დანართები;
- ✓ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ✓ ინტერვიუს შედეგები, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან.
- ✓ ქუთაისის უნივერსიტეტის კორპუსი: აუდიტორიები, კომპიუტერული საგამოცდო აუდიტორიები (ქუთაისი, წერეთლის ქ. №13);
- ✓ ქუთაისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ბიბლიოთეკაში არსებული სახელმძღვანელოები (ქუთაისი, წერეთლის ქ. №13);
- ✓ ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, https://unik.edu.ge/Library/72;
- ✓ საერთაშორისო ელექტრონული სამეცნიერო ბაზები: https://unik.edu.ge/Library/73
- ✓ სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის 2021 წლის ბიუჯეტი;
- ✓ ქუთაისის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://www.unik.edu.ge/.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო ბიუჯეტი ბიუჯეტის შედგენის პროცესი მიმდინარეობს უნივერსიტეტში მოქმედი დოკუმენტის „შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ბიუჯეტირების პოლიტიკა და პროცედურები“.

შპს ქუთაისის უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს სრული უსდ-ს ბიუჯეტი და ცალკე გამოყფილი აქვს ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის ბიუჯეტი, რომლის პროგრამაცაა ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა. ბიუჯეტი შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი დოკუმენტის „შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ბიუჯეტირების პოლიტიკა და პროცედურების“ მიხედვით (დამტკიცებულია უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს 2020 წლის 12 ნოემბრის №5 დადგენილებით).

უსდ-ში ბიუჯეტირების პროცესი დეცენტრალიზებულია და უნივერისიტეტის ყველა სტრუქტურულ ერთეულს გააჩნია უფლებამოსილება წინასწარ განსაზღვრული ფინანსური ლიმიტების, მისი უფლებამოსილებისა და ვალდებულებების ფარგლებში, დამოუკიდებლად განსაზღვროს შემდეგი წლის ხარჯების სახეები და მოცულობები.

ბიუჯეტის შედგენისას ხდება პროგრამის საჭიროებების შეფასება, პრიორიტეტული ხარჯების გამოყოფა და გათვალისწინება, ასევე, პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით პროგრამისა და ფაკულტეტის შემოსავლების გათვალისწინება.

შპს ქუთაისის უნივერსიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შედგენის პროცესი განხორციელდა უსდ-ში მოქმედი პროცედურების შესაბამისად.

უსდ მიმდინარე პროგრამიდან მნიშვნელოვანი შემოსავლების მიღებას არ გეგმავს. გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პროგრამამ ხელი უნდა შეუწყოს უსდ-სთვის მაღალპროფესიონალი მკვლევარ მეცნიერისა და პროფესორების მომზადებას, შესაბამისად თვლის, რომ აქედან მიღებული შემოსავლები სრულად უნდა მოხმარდეს, თავად პროგრამას და კვლევების განვითარებას. უსდ საჭიროების შემთხვევაში მზადაა სხვა შემოსავლებიდან უზრუნველყოფ პროგრამის დაფინანსება.

ბიუჯეტში მოცემულია პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის წყაროები, როგორც პერიოდული, ასევე - ერთჯერადი. ბიუჯეტში ცალკე გამოყოფილია უსდ-ს ჟურნალის გამოცემის ხარჯები 2000 ლარის ოდენობით, ადგილობრივი და საერთაშორის სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება 7000 ლარი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობისთვის 9950 ლარი.

წარმოდგენილი ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების პროგრამისთვის გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის დანართები;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან.
- სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის 2021 წლის ბიუჯეტი;
- ქუთაისის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://www.unik.edu.ge/.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ქუთაისის უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა რეგულირდება "ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა"-ით (დამტკიცებულია უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს 2020 წლის 2 ოქტომბრის №2 დადგენილებით). სამსახური საქმიანობას ახორციელებს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურების" შესაბამისად (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 24 მარტის №ძ 36 ბრძანებით). პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს - "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე". საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვაში, შემუშავებასა და განვითარებაში მონაწილეობა მიიღო დაინტერესებულმა მხარეებმა - აკადემიური/მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები. ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების პროცესების ეფექტურად განხორციელების მიზნით უნივერსიტეტში შეიქმნა პროგრამის კომიტეტი, რომლის წევრები შერჩეული იყო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალისაგან. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ჩართულია გამოკითხვებისთვის კითხვარის მომზადების პროცესში, კვლევების ჩატარებაში, გამოკითხვების ანალიზში. დამუშავებული

შედეგები მიეწოდებათ დაინტერესებულ მხარეებს - პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის კომიტეტს, ფაკულტეტის საბჭოს.

პროგრამის განვითარების მიზნით ჩატარებულია შეხვედრები და დაინტერესებული მხარეების გამოკითხვები. თვითშეფასების პროცესში ჩართულნი იყვნენ ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანი, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი და უნივერსიტეტის შემდეგი სტრუქტურული ერთეულები, რომელთა მხრიდან მოხდა ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშისთვის საჭირო, პროგრამასთან დაკავშირებული და მათთვის შესაბამისი მონაცემების, ინფორმაციისა და ანგარიშების მობილიზება-მომზადება და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის მიწოდება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინირებით მოხდა შემდეგი კვლევების ჩატარება: სტუდენტების მიერ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის, სასწავლო კურსების შეფასება, სტუდენტებისა და პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა, საგამოცდო პროცესების და ლექტორების სააუდიტორიო მუშაობის შეფასება, ჩატარებულია სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი, რომლის შედეგები გამოიყენება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად. მიღებული შედეგები ეგზავნებათ შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს რეაგირებისთვის და აღმოჩენილი საყურადღებო საკითხების გაუმჯობესების მიზნით.

პროგრამის ხელმძღვანელისა და კომიტეტის მიერ გაანალიზდა მიღებული შედეგები და რეკომენდაციები, მოხდა შედეგების განხილვა და მიღებული რჩევების გათვალისწინება (იხ. გამოკითხვის შედეგების ანალიზი და შედეგების გამოყენების ანგარიში).

პროგრამის ხელმძღვანელის და დეკანის მიერ წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების წლიური ანგარიში, რომელშიც მოცემულია საგანმანათლებლო პროგრამის სხვადასხვა მაჩვენებელი, პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობები, აკადემიური მოსწრების ანალიზის საფუძველზე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები, გამოკითხვების საფუძველზე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები, ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ანალიზის აღწერა და ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ანალიზის საფუძველზე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები და ა.შ. ასევე, ინტერნაციონალიზაციასთან, პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია

აღსანიშნავია რომ, ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით წარმოდგენილ დოკუმენტებში გარდა კვლევებისა და ანალიზისა, წარმოდგენილია დოკუმენტები, რომელშიც ჩანს რეაგირება და მიღებული შედეგების გამოყენება.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ვიზიტის დროსაც გამოჩნდა რომ პროგრამის შემუშავების და განვითარების პროცესში უზრუნველყოფილია დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების გათვალისწინება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების, ჩატარებული კვლევების ანალიზის, პროგრამის განვითარების პროცესში გამოვლენილი საკითხების გათვალისწინების მიზნით ხდება კურიკულუმში და მის კომპონენტებში საჭირო ცვლილებების განხორციელება.

ჩატარებული ანალიზით და დაინტერესებული მხარეების (დოქტორანტი, განმახორციელებელი პერსონალი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი) რეკომენდაციების საფუძველზე პროგრამაში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

პროგრამის ხელმძღვანელისა და კომიტეტის გადაწყვეტილებით პროგრამის განახლების ეტაპზე განხორციელდა სასწავლო კურსების ,,სწავლების თანამედროვე მეთოდები'' და ,,ეკონომეტრიკა'' სრულფასოვნად განახლება და მისი დახვეწა, განახლებული პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისად, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის არჩევით სასწავლო კურსად რეკომენდაციის შესაბამისად დაემატა ,,ევროპის რეგიონალური და სოციალური პოლიტიკა'', დაკორექტირდა პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურები;
- ✓ დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების ანალიზი, შედეგების გამოყენების ანგარიში;
- ✓ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი, შედეგების გამოყენების ანგარიში;
- ✓ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი, შედეგების გამოყენების ანგარიში;
- ✓ ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის სხდომის ოქმები;
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევები;
- ✓ ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი გარე შეფასების მექანიზმებია - ავტორიზაცია და აკრედიტაცია, რომელსაც ახორციელებს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. შეფასების დროს მიღებული რეკომენდაციები გაითვალისწინება პროგრამის განვითარებისას და განხორციელებისას; ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და განახლების ეტაპზე, დაწესებულებამ გაითვალისწინა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (No71, 24.09.2018) ეკონომიკის სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციები. კერძოდ:

შეიცვალა საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის თანახელმძღვანელად დაინიშნა საერთაშორისო გამოცდილების მქონე პირი - უცხოელი თანახელმძღვანელი. გაძლიერდა კვლევითი მიმართულებით სასწავლო კურსები,: პროგრამას დაემატა სავალდებულო სასწავლო კურსი „კვლევის მეთოდები ეკონომიკაში“, მოდიფიცირდა სასწავლო კურსი „ეკონომეტრიკა“, პროგრამის უცხოენოვანი კომპონენტის გაძლიერების მიზნით პროგრამას დაემატა ინგლისურენოვანი არჩევითი სასწავლო კურსი „ევროპის რეგიონალური და სოციალური პოლიტიკა“, განახლდა ლიტერატურა სილაბუსებში, დაკორექტირდა პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, დაზუსტდა ინგლისური ენის ცოდნის დონის დადასტურების პროცედურები. შეიცვალა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი და სასწავლო კურსების შინაარსი. საგანმანათლებლო პროგრამის განსავითარებლად ასევე გამოიყენება გარე დარგის სპეციალისტის შეფასება. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს GIPA-ს პროფესორის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორ მ.კ.-ს შეფასება. მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებით რეკომენდაციის საფუძველზე პროგრამას არჩევით სასწავლო კურსად დაემატა სასწავლო კურსი „ევროპის რეგიონალური და სოციალური პოლიტიკა“. სასწავლო კურსის „საერთაშორისო ეკონომიკის“ დამატების შესახებ გაზიარებული რეკომენდაციის საპასუხოდ მიმდინარეობს მუშაობა და რესურსების მოძიება სასწავლო კურსის შემუშავებისთვის
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ გარე ექსპერტის შეფასება ✓ საგანმანათლებლო პროგრამა ✓ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ქუთაისის უნივერსიტეტში ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება რამდენიმე მიმართულებით შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით, კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამა ფასდება პროგრამის ხელმძღვანელების მიერ წლიურად შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: პროგრამის რაოდენობრივი მაჩვენებლები, საანგარიშო პერიოდში სტუდენტების აკადემიური მოსწრების სტატისტიკა, ინფორმაცია კურსდამთავრებულთა შესახებ, მონაცემები სტუდენტთა პრაქტიკის/სტაჟირების და კვლევითი აქტივობის შესახებ, პროგრამის მატერიალური რესურსი (მათ შორის ინფორმაცია პროგრამის საბიბლიოთეკო რესურსის გაუმჯობესების შესახებ, პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობები, აკადემიური მოსწრების ანალიზის საფუძველზე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები, გამოკითხვების საფუძველზე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები, ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ანალიზის აღწერა და ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ანალიზის საფუძველზე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები და ა.შ. ასევე, ინტერნაციონალიზაციასთან, პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია. წლიური ანგარიში წარედგინება ხარისხის

უზრუნველყოფის სამსახურს.. შეფასების მიღებული შედეგები გამოიყენება პროგრამის განახლებისა და განვითარების პროცესში.

საგანმანთლებლო პროგრამის მონიტორინგი, შეფასება, განვითარება და სწავლის შედეგების მიღწევის გაუმჯობესება ხორციელდება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით: პირდაპირი მეთოდებით შეფასების მიზნით კეთდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი. ქუთაისის უნივერსიტეტში მოქმედი სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის მიხედვით განსაზღვრული სამიზნე ნიშნულების შესაბამისად, აკადემიურ მოსწრებაზე დაკვირვება განხორციელდება დინამიკაში, კერძოდ, ხდება ბოლო სამი წლის შედეგებზე დაკვირვება.. ანალიზის შედეგები და გამოვლენილი საყურადღებო საკითხები ეგზავნებათ პროგრამის ხელმძღვანელებს რეაგირებისთვის, საკითხის უფრო სიღრმისეულად შესწავლის და საჭიროების შემთხვევაში პროგრამის ფარგლებში კონკრეტული ცვლილებების განხორციელების მიზნით. რეაგირება შესაძლებელია გულისხმობდეს, სასწავლო გეგმაში კონკრეტული ცვლილებების განხორციელებას, სასწავლო კურსისთვის განსაზღვრული წინაპირობების შეცვლას, სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდების შეცვლას, გამოყენებული ლიტერატურის განახლებას და ა.შ. პროგრამის ხელმძღვანელების მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარედგინება ანალიზის შედეგების გამოყენებისა და რეაგირების ანგარიშები.

ბ) სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდების ფარგლებში გაანალიზდება პროგრამის კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები. ანალიზის შედეგები გამოიყენება პროგრამის განვითარების მიზნით. გამოკითხვის პროცესის უზრუნველსაყოფად გამოიყენება ელექტრონული პლატფორმა SurveyMonkey. მიღებული შედეგები ეგზავნებათ პროგრამის ხელმძღვანელებს ანალიზისა და რეაგირებისთვის.

პროგრამის მონიტორინგისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულება იყენებს სტუდენტების მიერ პროგრამის, კურსის განმახორციელებლების და სასწავლო კურსის შეფასებას, საგამოცდო პროცესის შეფასება, პრაქტიკის კომპონენტის შეფასება, აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევა, ლექტორის სააუდიტორიო მუშაობის შეფასება და სხვ.

წარმოდგენილი სტუდენტის და აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევა სრულად საფაკულტეტო კვლევას წარმოადგენს. იმისთვის რომ შესაძლებელი გახდეს კონკრეტული პროგრამასთან დაკავშირებული კომენტარები და შეფასებები რესპოდენტებმა უნდა მიუთითონ საგანმანათლებლო პროგრამა. ვინაიდან შესაძლებელია, რომ რესპოდენტმა არ

დააფიქსიროს კომენტარში რომელ პროგრამასთან მიმართებით გაკეთდა კომენტარი, ინფორმაციის სრულყოფილად მიღების და დამუშავების მიზნით სასურველია აღნიშნული კვლევები ჩატარდეს კონკრეტულად საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით (კონკრეტული პროგრამებისთვის ჩატარდეს ცალ-ცალკე კვლევა).

პროგრამის მონიტორინგისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ხორციელდება პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასება. ფასდება მათი სააუდიტორიო საქმიანობა. შეფასების პროცესში მონაწილეობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, სფეროს ან მომიჯნავე სფეროს სპეციალისტი, პროგრამის ხელმძღვანელი, სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის წარმომადგენელი. შეფასებას თითოეული შემფასებელი ინდივიდუალურად ახორციელებს. შეფასების დაჯამებული შედეგები და უკუკავშირი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მიწოდება აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს პერსონალის შეფასება ასევე მოიცავს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული საქმიანობის წლიურ შეფასებას.

პროგრამის განვითარებისა და საერთაშორისო თუ ადგილობრივი საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების, ასევე, პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ხდება ადგილობრივი და საერთაშორისო მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების შესწავლა და მათი დადარება უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამასთან. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ჩატარებული ანალიზი. ბენჩმარკინგისთვის ანალიზისას შესწავლილ იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტი; საზღვარგარეთული უნივერსიტეტებიდან გაანალიზდა: CERGE-Center for Economic Research and Graduate Education -Economics Institute, Stanford University, StokholmSchool of Economics, MIT -Massachusetts Institute of Technology, Toronto University. ჩატარებული ანალიზის საფუძველზე დაწესებულების მოსაზრებით გამოვლინდა სამი სასწავლო კურსი, რომელიც არ შედის ქუთაისის უნივერსიტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის სასწავლო გეგმაში - საერთაშორისო ეკონომიკა, ეკონომიკური ზრდის თეორიები და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია. . საერთაშორისო ეკონომიკის დამატება დაწესებულებას გარე ექპერტმაც ურჩია და როგორც სტანდარტ 5.2-შია აღნიშნული დაწესებულება მუშაობს ამ მიმართულებით. დაწესებულების მოსაზრებით პროგრამის სხვა კურსები- მიკრო და მაკროანალიზი, საჯარო ფინანსები და მონეტარული თეორიები), გარკვეულწილად ფარავენ პირველი ორი კურსის თემატიკას,

ხოლო მესამე (ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია) მათი მოსაზრებით არ წარმოადგენს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის რელევანტურ სასწავლო კურსს. თუმცა საჭიროების და სტუდენტების სურვილის შემთხვევაში მოხდება აღნიშნული კურსის დამატება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- ✓ შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და
- ✓ შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები;
- ✓ დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგები, შედეგების გათვალისწინების
- ✓ ანგარიშები;
- ✓ ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის წლიური შეფასების ანგარიში;
- ✓ ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის სხდომის ოქმები;
- ✓ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, ანალიზის შედეგების გათვალისწინების ანგარიში;
- ✓ შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პროცედურები;
- ✓ სააუდიტორო საქმიანობის შეფასების ანგარიშები და შეფასების შემაჯამებელი ანგარიშები;
- ✓ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასების შედეგები;
- ✓ შეფასების შედეგებზე რეაგირების ანგარიშები;
- ✓ ზოგადი კმაყოფილების კვლევის შედეგები, გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- ✓ საგამოცდო პროცესების შეფასების შედეგები, გამოკითხვის შედეგებზე საგამოცდო ცენტრის რეაგირების ანგარიშები;
- ✓ ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ✓ ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამის ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ანალიზი.
- ✓ ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ✓ ინფორმაციის სრულყოფილად მიღების და დამუშავების მიზნით სასურველია სტუდენტის და აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევა ჩატარდეს კონკრეტულად საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ქუთაისის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 60

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ეკა გეგეშიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

მაია ბარამიძე

ნინო ჯოჯუა

ნინო ტალიკაძე